ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №48

ქ. თბილისი 10 დეკემბერი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: გიორგი გოგოლაშვილი, კახაბერ ნიაური, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, გია აბულაძე, მერაბ გუჯეჯიანი.

მოწვეულები: ირ. კვარაცხელია, ლ. ხვედელიძე, მ. გურგენიძე, გ. კუჭაიძე, ი. თოხაძე, გ. თოხაძე, ფ. მჭედლიძე, ვ. ცომაია, ზ. გეწაძე, გ. ხუციშვილი, მ. კაპანაძე, კ. მორჩილაძე, გ. რაზმაძე, გ. წიკლაური, ვ. კირკიტაძე, მ. ზვიადაძე, მ. ზვიადაძე, გრ. წერეთელი, ლ. ხუციძე, ნ. გობეჯიშვილი, ა. შენგელია, გ. სესიტაშვილი, დ. სესიტაშვილი, დ. ბენაშვილი, სალიხ სელმან აჰაიდინ, ჰენეინ ირმაზი, ალ. ქსოვრელი, ხ. სეთურიძე, ალ. ტყეშელაშვილი, გ. ცინცაძე, ზ. ნემსაძე, გ. ბოკუჩავა, ს. კახნიაშვილი, მ. შარაშენიძე, მ. ვარდოსანიძე, კ. მამალაძე, ს. მგალობლიშვილი, ვ. ღლონტი, ქ. რობიტაშვილი, ლ. გელაშვილი, ზ. გეწაძე, ე. ქემოკლიძე, დ. მაკალათია, პ. შუბითიძე, ვ. ვზევსკი, რ. ბაღდასაროვი, მ. ხორიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

58. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.27.365) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

59. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.32.542) სახელოსნოს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

60. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თვალჭრელიძის I ჩიხის №1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ.

61. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტერენტი გრანელის ქ. №№10-12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

62. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ხივინის შესახვევის №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

63. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სოფელ გლდანში, "ავშნიანში" არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.40.325) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

64. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მუხაძისა დ აკაკაბაძის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.17.011.036) ოფისისა და საწყობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

65. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.794) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

66. №3/3796-13 საქმეზე მოსარჩელე მხარეების ვახტანგ ქაცარავას, ზვიად ნადარეიშვილისა და მერაბ ნაჭყებიას სარჩელთან დაკავშირებით, „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სასამართლოში წარმოდგენისა და მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.32.542) სახელოსნოს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

60. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თვალჭრელიძის I ჩიხის №1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ.

განმცხადებელი – გ. კუხალეიშვილი. **AR 1180969**
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია სზ 1-ის პარამეტრებით.
- მისაღებია სზ 1.
- მისაღებია სზ 1-ის პარამეტრებით.
- მისაღებია სზ 1-ის პარამეტრებით.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თვალჭრელიძის I ჩიხის №1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით კ1=0,5, კ2=0,8, კ3=0,3 და ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

61. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტერენტი გრანელის ქ. №№10-12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. დანელია. **AR 1178860**
დადგენილი პარამეტრები –კ2=2,1.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=2,2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტერენტი გრანელის ქ. №№10-12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=2,2.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

62. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ხივინის შესახვევის №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – გ. ალავერდაშვილი. **AR 1165073**
დადგენილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

- მიეცეს თანხმობა №3/3666-13 საქმეზე მოსარჩელე როინ ლიპარტელიანის სარჩელთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სასამართლოში წარმოდგენისა და მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების იურისტის ოთარ ნარჩემაშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი მდივანი გაგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება №2850

"16" დეკემბერი 2013 წ.

ქ.თბილისში, ტერენტი გრანელის ქ. №№10-12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 10 დეკემბრის სხდომის №48 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, ტერენტი გრანელის ქ. №№10-12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: **კ2=2,2.**

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE79LB0125152101627773.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა